საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები

აპრილი, 2025

იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყებამ კოლიზეუმის ბილეთების გაყიდვასთან დაკავშირებით ჯარიმები დააწესა

იტალიის კონკურენციის უწყებამ დაახლოებით 20 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა კომპანია CoopCulture-სა და ექვს ტუროპერატორს (Tiqets International BV, GetYourGuide Deutschland GmbH, Walks LLC, Italy With Family S.r.l., City Wonders Limited და Musement S.p.A.), კოლიზეუმის ბილეთების ხანგრძლივი ხელმიუწვდომლობის გამო.

საკითხის შესწავლა 2023 წლის ივლისში დაიწყო, მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ონლაინ ბილეთების შეძენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

CoopCulture, რომელიც 1997-2024 წლებში უზრუნველყოფდა კოლიზეუმის ბილეთების ოფიციალურ გაყიდვას, 7 მილიონი ევროს ჯარიმით დაჯარიმდა. მან ვერ მიიღო შესაბამისი

ზომები ბოტებით ბილეთების ავტომატურად შეძენის აღსაკვეთად და თავადაც ინახავდა ბილეთების მნიშვნელოვან რაოდენობას საკუთარი ტურის პაკეტებისთვის, რაც ბილეთების ფასის ხელოვნურად ზრდას იწვევდა.

დანარჩენი ოპერატორები კი ბილეთებს ავტომატური ხელსაწყოებით იძენდნენ და მათ გაერთიანებული მომსახურებით (გიდი, პრიორიტეტული შესვლა და სხვა) გაცილებით მაღალ ფასად ყიდდნენ.

უწყების შეფასებით, CoopCulture-ის ქმედება წარმოადგენს არამართლზომიერ სავაჭრო პრაქტიკას, ხოლო ტუროპერატორების მოქმედება – მომხმარებლის კოდექსის რამდენიმე მუხლის დარღვევას.

[წყარო:]

2

იტალიის კონკურენციის უწყება

კომპანია 7 700-ზე მეტ მომხმარებელს 1,45 მილიონი ევროს კომპენსაციას გადაუხდის

იტალიის კონკურენციის უწყებამ (AGCM) დაამტკიცა კომპანია *Otis Servizi S.r.l.*-ის ვალდებულებები, რითაც დასრულდა მიმდინარე მოკვლევა, რომელიც 2024 წლის ოქტომბერში დაიწყო მომხმარებელთა კოდექსის ფარგლებში. საკითხი ეხებოდა სამგზავრო ლიფტებზე მოწყობილობის *Otis One*-ის დაყენებას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მომხმარებლის წინასწარი ინფორმირებულობის და ნათელი თანხმობის გარეშე დააყენეს, ასევე საკითხი ეხება ლიფტების მონტაჟისა და სარემონტო სამუშაოების დაგვიანებას.



მოკვლევის შედეგად 7,700-ზე მეტ მომხმარებელი მიიღებს დაახლოებით 1.45 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაციას. კომპანიის ვალდებულებების თანახმად, მიღებული გადაწყვეტილებიდან სამი თვის ვადაში, კომპანია *Otis* დაუკავშირდება დაზარალებულ პირებს რეკომენდებული წერილით ან სერტიფიცირებული ელფოსტის მეშვეობით და სთხოვს საბანკო რეკვიზიტების

მოწოდებას. შესაბამისი თანხების გადარიცხვა განხორციელდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ანაზღაურების გარდა, კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ მომავალში ლიფტებზე დამატებითი ფასიანი მოწყობილობების დაყენება მოხდება მხოლოდ მომხმარებლის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

წყარო:

1

ფედერალური სავაჭრო კომისია

ფედერალური სავაჭრო კომისია FACEBOOK--ის წინააღმდეგ

ამერიკის ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ (FTC) სარჩელი შეიტანა კომპანია Facebook-ის წინააღმდეგ, ამტკიცებს რა, რომ კომპანიამ პირადი სოციალური ქსელების ბაზარზე უკანონოდ შეინარჩუნა მონოპოლიური მდგომარეობა მრავალწლიან ანტიკონკურენტულ პრაქტიკაზე დაფუძნებული ქცევით. სარჩელის თანახმად, Facebook-მა მიზანმიმართულად განახორციელა სტრატეგია, რომელიც მოიცავდა 2012 წელს პერსპექტიული კონკურენტის — Instagram-ის, 2014 წელს კი მობილური შეტყობინებების აპლიკაციის — WhatsApp-ის შეძენას, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერებისთვის ანტიკონკურენტული პირობების დაწესებას, კონკურენტული საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

კომისიამ, სამი ხმით ორის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა პერსონალის უფლებამოსილებას, რომ კოლუმბიის ოლქის რაიონულ სასამართლოში შეეტანა სარჩელი მუდმივი შეზღუდვის მიღებისა და სხვა სამართლიანი სამართლებრივი უზრუნველყოფის მოსაპოვებლად.

წყარო:

1

REUTERS

PRADA 1,4 მილიარდ დოლარიანი გარიგება გააფორმა ვერსაჩესთან

Prada-მ შეიძინა Versace 1.375 მილიარდი დოლარად, ვალდებულებებით, რომგარიგება გააძლიერებს იტალიის პოზიციას დელუქს მოდის ინდუსტრიაში. Prada გეგმავს Versace-ს პოტენციალის გაზრდას, რადგანVersace ბოლო რამდენიმე კვარტალში ზარალზე მუშაობდა.

წყარო:

1

BUNDESKARTELLAMT

GOOGLE აუქმებს კონკურენციის შემზღუდავ პრაქტიკას

კომპანია Google-მა (Alphabet Inc., აშშ) გერმანიის კონკურენციის ორგანოს – Bundeskartellamt-ს წარუდგინა ვალდებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს Google Automotive Services-ისა და Google Maps Platform-ის გამოყენებასთან დაკავშირებული კონკურენციის შემზღუდავი პირობების მოხსნას.

Google ვალდებულია, რომ Google Automotive Services-ის პაკეტში შემავალი ძირითადი სერვისები – Google Maps, Google Play და Google Assistant – ხელმისაწვდომი გახადოს ცალკეული ლიცენზიების მეშვეობით. ეს ავტომწარმოებლებს მისცემს შესაძლებლობას, თავად აირჩიონ რომელ სერვისს გამოიყენებენ.

ასევე, Google გაუქმებს იმ კონტრაქტულ პირობებს, რომლებიც ავტომწარმოებლებს აქამდე ზღუდავდა და ფაქტობრივად ავალდებულებდა მხოლოდ Google-ის სერვისების არჩევას. დამატებით, კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მისი სერვისების თავსებადობა სხვა პროვაიდერების სისტემებთან, რაც ბაზარზე კონკურენციას გააძლიერებს.

რუკების მომსახურების მიმართულებით, Google ასევე გაუქმებს შეზღუდვებს, რომლებიც კრძალავდა Google Maps-ის პარალელურად სხვა პროვაიდერების, მათ შორის HERE, TomTom და OpenStreetMap-ის გამოყენებას. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოგისტიკის, სატრანსპორტო და კურიერული მომსახურების B2B სექტორისთვის, რომელთაც ამიერიდან ექნებათ მეტი არჩევანი და ოპერაციული მოქნილობა.

Bundeskartellamt-ის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ვალდებულებების მოქმედება სცდება გერმანიის ტერიტორიას და ვრცელდება ევროკავშირის მთელ ბაზარზე, მათ შორის იმ შემთხვევებზეც, როდესაც Google Maps-ის სერვისის მომხმარებლის ანგარიშგების მისამართი ევროპის ეკონომიკურ ზონაშია დაფიქსირებული

[წყარო:]

1

INTERNATIONAL CONSUMER PROTECTION AND ENFORCEMENT NETWOTK ICPEN

FLIXBUS ᲓᲐᲯᲐᲠᲘᲛᲓᲐ

გერმანიის შესაბამისმა უწყებებმა კომპანია Flixbus-ის მიმართ სამართლებრივი ზომები ბელგიის ეკონომიკური ინსპექციის გენერალური დირექტორატის მოთხოვნის საფუძველზე გაატარეს.

ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის თანამშრომლობის ქსელის (CPC Network) მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი მონიტორინგის ფარგლებში დაწყებული მოკვლევის შედეგად, ბელგიის ეკონომიკურმა ინსპექციამ Flixbus-ის ბელგიური ვებსაიტის შინაარსში რამდენიმე შემთხვევა გამოავლინა, რაც მომხმარებლის გარემოსდაცვითი მტკიცებების გზით შეცდომაში შეყვანას წარმოადგენს. გამოვლენილი იყო შემდეგი სახის არასათანადო და მავნე პრაქტიკები:

- ბუნდოვანი და დაუდასტურებელი განცხადებები, როგორიცაა „ეკოლოგიურად სუფთა“ და „კლიმატ მეგობრული“, რამაც მომხმარებლებს შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეუქმნას პროდუქტის რეალურ ზემოქმედებაზე გარემოზე;
- მტკიცება, რომ Flixbus წარმოადგენს „ყველაზე კლიმატმეგობრულ სატრანსპორტო საშუალებას“, შესაბამისი შედარებითი ან სამეცნიერო დასაბუთების გარეშე;
- სარეკლამო მასალები, რომლებიც შეეხებოდა Flixtrain-ის purported გარემოსდაცვით სარგებელს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერვისი ბელგიაში ხელმისაწვდომი არ არის;
- შეთავაზება მგზავრობის ნახშირბადის ემისიების ანაზღაურების (offsetting) შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ არ იყო მითითებული მგზავრობის ზუსტი ემისიების ოდენობა.

ბელგიის ეკონომიკური ინსპექციის შუამდგომლობის საფუძველზე, გერმანიის გარემოსდაცვითმა სააგენტომ (Umweltbundesamt) სასამართლო საქმე დაიწყო. Flixbus-ს მიეცა შესაძლებლობა ნებაყოფლობით შეეცვალა საკუთარი პრაქტიკა, თუმცა კომპანიამ მოთხოვნები არ შეასრულა. რამდენიმესაფეხურიანი გასაჩივრების შემდეგ, 2025 წლის 20 თებერვალს, გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ Flixbus ვალდებულია წაშალოს ბელგიური ვებსაიტიდან ყველა შეცდომაში შემყვანი გარემოსდაცვითი განცხადება და მოიყვანოს ისინი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კომპანიამ გარკვეული ცვლილებები უკვე განახორციელა – მათ შორის, უარი განაცხადა CO_2 ემისიების ანაზღაურების მოდელზე – ვებსაიტზე კვლავ რჩება ბუნდოვანი და სამართლებრივად გაუმართავი მტკიცებები. შესაბამისად, Flixbus ვალდებულია გააგრძელოს მათ დახვეწაზე მუშაობა და სრულად უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ევროკავშირის მომხმარებელთა დაცვის მოთხოვნებთან.

წყარო:

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

CLOROX AUSTRALIA-ს 8,25 მილიონი ავსტრალიური დოლარის ჯარიმა დაეკისრა მომხმარებლების შეცდომაში შეყვანის გამო

ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ კომპანია Clorox Australia Pty Ltd 8.25 მილიონი ავსტრალიური დოლარით დააჯარიმა იმის გამო, რომ კომპანიამ მომხმარებლებს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მიაწოდა GLAD-ის ბრენდით წარმოებული სამზარეულოსა და ნაგვის პაკეტების შეფუთვაზე. კერძოდ, Clorox ამტკიცებდა, რომ პროდუქცია ნაწილობრივ ოკეანეში შეგროვებული გადამუშავებული პლასტმასისგან იყო დამზადებული, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. საქმე სასამართლოში ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის კომისიამ (ACCC) შეიტანა.

Clorox-მა აღიარა, რომ 2021 წლის ივნისიდან 2023 წლის ივლისის ჩათვლით, კომპანიის მიერ პროდუქციის შეფუთვაზე მითითებული მტკიცება, თითქოს პაკეტები მინიმუმ 50%-ით ოკეანის ნარჩენი პლასტმასისგან იყო დამზადებული მცდარი იყო. რეალურად, აღნიშნული მასალა შეგროვებული იყო ინდონეზიაში, სანაპიროდან 50 კმ რადიუსში.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პროდუქციის შეფუთვაზე გამოსახული ტალღები და ლურჯი შეფერილობა მომხმარებელს დამატებით უქმნიდა მოლოდინს პროდუქტის კავშირის შესახებ ოკეანესთან და ბუნებრივ გარემოსთან, რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა მაცდუნებელი პრაქტიკის შეფასებისას.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, Clorox-ს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები:

- წარადგინოს განმარტებითი განცხადება კომპანიის ვებგვერდზე;
- დანერგოს ავსტრალიის მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისობის პროგრამა;
- აანაზღაუროს ACCC-ის სამართლებრივი ხარჯების ნაწილი.

Clorox-მა მოკვლევის პროცესში ითანამშრომლა ACCC-სთან, აღიარა დარღვევა და დათანხმდა შეთანხმებული სანქციების დაწესებას.

წყარო:

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებლის კომისია

ავსტრალიის ფედერალური სასამართლო QTEQ PTY-ის და მისი აღმასრულებელი თავმჯდომარის წინააღმდეგ კარტელური ქმედების ფაქტს ადასტურებს

ავსტრალიის კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის კომისიის (ACCC) მიერ ინიცირებული სამართალწარმოების შედეგად, ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნავთობისა და გაზის სექტორში მოქმედმა კომპანიამ *Qteq Pty Ltd*-მა და მისმა აღმასრულებელმა თავმჯდომარემ, ბატონმა სიმონ ეშტონმა კონკურენციის კანონი დაარღვიეს.

სასამართლომ დაადასტურა, რომ 2017 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში,Qteq და ბატონი ეშტონი ცდილობდნენ, ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის მომწოდებლები დაეყოლიებინათ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადებაზე, რომლებიც შეიცავდა კარტელურ დათქმებს. კერძოდ: - თავი შეეკავებინათ გარკვეული მომსახურებების მიწოდებისგან მსხვილი ნავთობისა და გაზის კომპანიებისთვის; განესაზღვრათ ბაზრის წილი და მიეღოთ შეთანხმება მრავალმილიონიანი ტენდერის ფალსიფიკაციის შესახებ.

„სასამართლოს გადაწყვეტილება მკაფიო გზავნილია ყველა საწარმოსა და მათი მენეჯმენტისთვის – ნებისმიერი მცდელობა, კონკურენტთან კოორდინირებული, კარტელური შეთანხმების დადების ან მასზე დაყოლიების მიმართულებით, წარმოადგენს კანონდარღვევას და მას შესაბამისი, მკაცრი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება“ – განცხადა უწყებამ.

აღნიშნული ქმედებებისთვის მოსალოდნელი სანქციები კომპანიების შემთხვევაში, 10 მილიონი ავსტრალიური დოლარი, ან დარღვევით მიღებული სარგებლის სამმაგი ოდენობა, თუ სარგებლის ოდენობა განსაზღვრული არ არის, კომპანიის წლიური ბრუნვის 10%. ხოლო ფიზიკურ პირებზე, თითოეული დარღვევის შემთხვევაში, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 9 ნოემბრამდე, ვრცელდება მაქსიმალური სამოქალაქო ჯარიმა 500,000 ავსტრალიური დოლარის ოდენობით.

[წყარო:]

1

ბელგიის კონკურენციის უწყება

ბელგიის კონკურენციის უწყებამ ჯარიმა დააკისრა სამ კომპანიას აფთიაქებში ურეცეპტო მედიკამენტების განთავსებასთან დაკავშირებით

ბელგიის კონკურენციის უწყებამ (BCA) 11.2 მილიონ ევროზე მეტი ჯარიმა დააკისრა სამ კომპანიას — Johnson & Johnson Consumer NV, Boehringer Ingelheim SComm და Haleon Belgium NV — ფარმაცევტულ ობიექტებში ურეცეპტო მედიკამენტების განთავსებისას არაკონკურენტული ქმედებების განხორციელებისთვის.

კომპანიებმა ერთობლივად ჩამოაყალიბეს ე.წ. Space Management Project (SMAN), რომლის ფარგლებში მათი პროდუქცია უპირატეს პოზიციებზე განთავსდებოდა შერჩეულ აფთიაქებში. აღნიშნული პრაქტიკა ემსახურებოდა ფარმაცევტულ ობიექტებში მედიკამენტების განთავსებისა და ხილვადობის კოორდინაციასა და გაკონტროლებას, რაც ეწინააღმდეგება როგორც ბელგიის, ისე ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობას.

BCA-ს შეფასებით, კომპანიებმა ერთობლივად განახორციელეს შეთანხმებული მოქმედებები, რომლებიც სცდებოდა დაშვებულ კატეგორიის მართვის პრაქტიკას და ზღუდავდა კონკურენციას ბაზარზე. დარღვევის მონაწილეებმა აღიარეს დანაშაული და დათანხმდნენ BCA-ს შეთავაზებულ შეთანხმებას, რის საფუძველზეც მათ ჯარიმა 10%-ით შეუმცირდათ.

ჯარიმები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- **Johnson & Johnson Consumer NV** – 4,771,584.00 ევრო
- **Boehringer Ingelheim SComm** – 1,664,721.76 ევრო
- **Haleon Belgium NV** – 4,812,974.72 ევრო

[წყარო:]

1

საბერძნეთის კონკურენციის კომისია

კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება სამშენებლო სექტორში

საბერძნეთის კონკურენციის კომისიამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო მონიტორინგი სამშენებლო სექტორში, კონკრეტულად კი საჯარო სამშენებლო სამუშაოების სექტორის

ანალიზი. აღნიშნულ სფეროს ქვეყნის ეკონომიკისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ჩარევის დაწყების საფუძველი გახდა ეჭვი კონკურენციის არასათანადო პირობების არსებობაზე, აგრეთვე სექტორში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, მათ შორის საინვესტიციო ფონდების მიერ მსხვილ სამშენებლო კომპანიებში კაპიტალური მონაწილეობების ზრდა, რაც დაკავშირებულია ბაზრის კონკურენტულ სტრუქტურაზე ზემოქმედების პოტენციურ რისკებთან.

კომისიამ განიხილა ისეთი კაპიტალური მონაწილეობების შესაძლო ზეგავლენა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არ საჭიროებენ შესყიდვების კონტროლის მექანიზმის აქტივაციას, შესაძლოა მიუთითებდნენ რეალური კონკურენციის არარსებობაზე. ამ კონტექსტში, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ერთობლივი კაპიტალური მონაწილეობის ფორმების შესწავლა, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კონკურენტულ დინამიკაზე სექტორში.

წყარო:

გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.

გადამოწმდა, აშშ-ს, იტალიის, გერმანიის, საბერძნეთის, ავსტრალიის და ბელგიის კონკურენციის უწყებების ოფიციალური გვერდები, ასევე გადამოწმდა ICPEN-ის da Reuters-ის ვებგვერდი.

15 20

info@gcca.gov.ge

www.gcca.gov.ge

GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო

GCCA • Georgian Competition and Consumer Agency

0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"